პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:497360 Y:4619836
ალიოშა ჯაფარიძის I შეს.
X:497272 Y:4619065
N
1:5,000

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

31 / ივლისი / 2023 წ.

KA011751398831923

№ **162385**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს
მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 25 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M23014551 განცხადებით მომართა მოქალაქე გელა ქავთარაძემ (პ/ნ:01027026522) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი დიდი ლილო (საკადასტრო კოდით N81.08.07.499).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდით N81.08.07.499) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

უსახელო ქუჩა

N

გადაწყვეტილების ნომერი M23014551

მომზადების თარიღი 31.07.2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032324758**
თარიღი: **04/09/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2023 წლის 31 ივლისის საქმე #04-032321242-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე გელა ქავთარაძის N M23014551 მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია დიდ ლილოში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ. 81.08.07.499)
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3(სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01232683465**
თარიღი: **25/09/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 04.09.2023 წლის # 03-032324758 (04.09.2023 წ. #14-01232472654-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი